



# 30 წელიწადი საბჭოთავი მმართველობის შეწყვეტიდან 30 Years since the End of the Soviet Rule

1991



# 30 წელი საბჭოეთის დასასრულიდან

## 30 YEARS SINCE THE END OF THE SOVIET RULE

30 წლის წინ საბჭოთა ტოტალიტარულ სახელმწიფოს კრიზისითა და დაშლით დიდი ეტაპი დასრულდა მსოფლიო ისტორიაში. „ცივ ომში“ დასავლურმა დემოკრatiამ გაიმარჯვა. მსოფლიოში ეიფორია იმდენად დიდი იყო, რომ ფილოსოფოსების ნაწილი „ისტორიის დასასრულზე“ კი აღაპრავდა, რადგან კომუნიზმის მთავარი ბურჯის დაცემა და მისი დასავლურ სამყაროსთან დაპირისპირების გაქრობა სამყაროს მოსაწყენს და უინტერესოს გახდიდა.

დღეს, პოსტსაბჭოთა სივრცისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისათვის კომუნისტური ტოტალიტარიზმის დაცემის ეს მრგვალი თარიღი მნიშვნელოვანი იმპულსია, რომ კრიტიკულად გავანალიზოთ, სად ვართ 30 წლის შემდეგ, რამდენად დავმორდით და დავძლიეთ ტოტალიტარიზმი, როგორ ვუყვებით მომავალ თაობებს ამ გამოცდილებაზე, რა გამოწვევები მოგვყვება დღემდე.

საქართველოს გამოცდილება საბჭოეთის ნგრევის პროცესში ერთი მხრივ, ამ საერთო სურათის ნაწილია და ასევე თავისი სპეციფიკითაც გამოირჩევა. მიმდინარე სასკოლო კონკურსი – „30 წელი საბჭოეთის დასასრულიდან“ ამ აქცენტების გამოვლენასა და მეხსიერების გაცოცხლებას ისახავს მიზნად.

კონკურსის პოპულარიზაციისათვის შექმნილი ეს კალენდარი საგანმანათლებლო ბუკლეტს უფრო ჰგავს. კალენდარულ მოვლენათა ჯაჭვის შესადგენად ჩვენ საბჭოეთის დაშლისა და ახალ განზომილებაზე გადასვლის მძიმე და კომპლექსურ პირველ პერიოდზე, 1985-1993 წლებზე ვკონცენტრირდით. სწორედ ამ წლების თავბრუდამხვევი სისწრაფით მიმდინარე მოვლენებმა, რადიკალიზმის ზრდამ, კონფლიქტებმა, შეცდომებმა, ჩავარდნილმა ტრანზიციამ და ტრაგედიებმა განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოების ფუნდამენტური გამოწვევები, რომელთა დაძლევა ჯერ კიდევ დღის წესრიგში დგას.

გამოცემის მიზანია, მკითხველმა სხვა თვალით შეხედოს თითქოსდა საყოველთაოდ ცნობილ მოვლენებსა და პროცესებს, გაანალიზოს ფაქტები და ამ პერიოდის უფრო საფუძვლიანი შესწავლის სურვილი გაუჩნდეს, უბიძგოს სკოლის მოსწავლეებს, დაელაპარაკოს იმ თაობას, რომლის თვალწინ და რომელთა ჩართულობით ტოტალიტარული სახელმწიფო დასრულდა და ჩვენი ქვეყანა ახალ ეპოქაში გადავიდა. მათი გამოცდილებით ხომ ბევრი არ ინტერესდება, არადა სამი ათწლეულის შემდეგ, საზოგადოებამ სწორედ მათი ხმები უნდა მოისმინოს – როგორ ცხოვრობდნენ ქალაქებსა თუ რეგიონებში ჩვეულებრივი ადამიანები გვიან საბჭოეთში? როგორ იმოქმედა მათზე „პერესტროიკის“ სიგნალებმა? როგორ ცდილობდნენ თავის გადარჩენას საყოველთაო კრიზისში ცალკეული ადამიანები თუ თემები? რა მოტივებითა და იდეებით ერთვებოდნენ მასობრივ საპროტესტო მოძრაობაში? როგორ წარმოედგინათ მომავალი? როგორი აღმოჩნდა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოქალაქეობა?

A big era in the world history came to an end with the crisis and collapse of the Soviet totalitarian state 30 years ago. Western democracy won the Cold War. The euphoria in the world was so great that some philosophers even started to talk about “the end of history” because the fall of the main pillar of communism and the disappearance of its confrontation with the West would make the world boring and uninteresting.

Today, this round date of the fall of communist totalitarianism in the post-Soviet space and in Central and Eastern Europe is an important impetus for a critical analysis of where we are 30 years later, how we distanced ourselves from totalitarianism and how we overcame it, how we are telling about this experience to future generations, what challenges we face today.

Georgia’s experience in the process of the collapse of the Soviet Union is, on the one hand, part of this overall picture and, on the other, is characterised by its particularities. The ongoing school competition “30 years since the Collapse of the Soviet Union” aims to highlight these accents and revive the memory.

Created to promote the competition, this calendar has rather the character of an educational brochure. In order to compile the chain of calendar events, we focused on the collapse of the Soviet Union and the difficult and complex first period (1985-1993) in the transition to a new dimension. The dizzying events of those years, the rise of radicalism, conflicts, mistakes, the unsuccessful transition, and tragedies have shaped the fundamental challenges, the overcoming of which is still on the agenda of the Georgian state and society.

The purpose of the publication is to make the reader look at seemingly well-known events and processes from a different perspective, to analyse the facts and to awaken the desire for a more thorough study of this period, to encourage schoolchildren to talk to the generation who witnessed and who was involved in ending of the totalitarian state and our country’s entrance in a new era. Not many people are interested in their experience, but after three decades, the public should hear their voices - How did ordinary people live in cities and regions of the late Soviet Union? How did the signals of “Perestroika” affect them? How did individuals or communities try to survive the global crisis? What were the motives for the involvement in the mass protest movement? What was their vision of the future? What it was like, to be a citizen of the newly independent state?

2022

იანვარი

ორშ	სამშ	მომ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						



ფოტო: გურამ წიბახაშვილი

## 1987 წლის 27 იანვარი

### ცეკას პლენუმი – პერესტროიკის გამოცხადება

1987 წელს კომპარტიის იანვრის პლენუმზე გორბაჩოვმა გამოაცხადა გარდაქმნა (პერესტროიკა), როგორც იდეოლოგია, როგორც საბჭოთა ცხოვრების ყველა სფეროს ძირეული და საყოველთაო ტრანსფორმაცია საჯაროობის გზით.

ამ დროს ხელისუფლებაში ყველას ესმოდა, რომ ცვლილებები უკვე გარდაუვალი იყო. მერბილდა ცენზურა და შესაძლებელი გახდა მანამდე ტაბუდებული თემების (სტალინური რეპრესიები, სექსი და ძალადობა, ნარკომანია, ე.წ. „ცუდი ახალი ამბები“) განხილვა მედიაში, დაიწყო აკრძალული ავტორების გამოქვეყნება, დასაშვები გახდა კერძო მეწარმეობა, დასავლეთთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად დამკვიდრება დაიწყო „ახალმა აზროვნებამ“.

უკვე მე-19 პარტიული კონფერენციის რეზოლუცია (1988 წლის 1 ივლისი) ახალი იდეოლოგიის არსის წარმოჩენას ცდილობს: „კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს ესაჭიროება სიმართლე, სრული და ობიექტური ინფორმაცია ყოველივე იმის შესახებ, რაც საზოგადოებაში ხდება“.

თუ საჯაროობა თავიდან ნიშნავდა მედიის მონაწილეობას კორუმპირებული ბიუროკრატის საკმინაობის მხილებაში, გარდაქმნის მეორე ეტაპზე ე.წ. ცუდი ინფორმაციის დამალვა მოძველებულ ტრადიციად ჩაითვა და საჯარო-საკომუნიკაციო არხების დიაობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ცენზურამ – მთავლიტმა შეარბილა წნეხი, მაგრამ ხელიდან არ უშვებდა სადავეს. ცენზურა საბჭოთა კავშირში ოფიციალურად მხოლოდ 1991 წლის 15 ოქტომბერს გაუქმდა.

ცენზურის გაუქმებას წინ უძღოდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ამერიკის ხმის“, „ბი-ბი-სის“, „რადიო თავისუფლებისა“ და სხვა მნიშვნელოვანი უცხოური რადიოგადამცემების სიგნალის ჩახშობის შეწყვეტის შესახებ (1986 წლის 25 სექტემბერი), მთავლიტის ხელმძღვანელობით ამუშავდა უწყებათმორისი კომისია, რომელმაც დაიწყო გამოცემების გადახედვა მათი სპეციალური ფონდებიდან ღია ფონდებისათვის გადასაცემად (1987 წლის დასაწყისი).

მიხეილ გორბაჩოვს ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნები სურდა, ის უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ცნობიერების გარდაქმნას ცდილობდა, რაც ყველაზე მეტად კულტურისა და მედიის სფეროს უნდა დასტყობოდა. პერესტროიკა მართლაც აისახა მედიასა და კულტურაზე, მაგრამ იდეოლოგიის ჯებირიც გაარღვია და შეუქცევადი გახდა.

## January 27, 1987

### Central Committee Plenum – Declaration of Perestroika

Gorbachev proclaimed Reconstruction (Perestroika) as an ideology, as the fundamental and universal transformation of all spheres of the Soviet life through transparency (glasnost) at the January 1987 plenum of the Communist Party.

By this time, everyone in the government realised that changes were already inevitable. Censorship was eased and previous taboo topics (Stalinist repressions, sex, and violence, drug addiction, the so-called “bad news”) started to be discussed in the media, banned authors began to be published, private entrepreneurship became permitted, and a “new mindset” was introduced for improving relations with the West.

Already the resolution of the 19th Party Conference (July 1, 1988) tries to present the essence of the new ideology: “The Communist Party, the Soviet people need the truth, complete and objective information about everything that is happening in society.”

If publicity initially meant media involvement in exposing the activities of corrupt bureaucracies, in the second phase of the Perestroika, hiding the so-called “bad information” became an outdated tradition and the transparency of public-communication channels increased significantly. Main Literary (Censorship) Board softened the pressure but did not let go of the dispute. Censorship in the Soviet Union was officially abolished only on October 15, 1991.

The lifting of the censorship was preceded by a resolution of the Central Committee of the Soviet Union to stop the suppression of the Voice of America (VOA), the BBC, Radio Liberty (RL), and other important foreign radio broadcasts (September 25, 1986). An Inter-Agency Commission was launched under the auspices of the Main Literary (Censorship) Board, which began reviewing publications to be transferred from their special funds to open ones (early 1987).

Mikheil Gorbachev wanted economic and political reconstructions, he was primarily trying to change the public consciousness, which was supposed to reflect most on the cultural and media spheres. Perestroika did indeed affect the media and culture, but it also broke the barrier of ideology and became irreversible.





ფოტო: ნაზი გაბაიძე

2022

## თებერვალი

ორშ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28						

### 1989 წლის 25 თებერვალი საპროტესტო დემონსტრაცია

1921 წლის 25 თებერვალს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თბილისი დატოვა და ქალაქში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილები შემოვიდა. წლების მანძილზე საბჭოთა საქართველოს მთავრობა ამ დღეს „ზეიმობდა“, როგორც საქართველოს გასაბჭოების დღეს.

1989 წლის 25 თებერვალს, თბილისში დიდი სამგლოვიარო მიტინგი მოეწყო. უნივერსიტეტთან შეკრებილებს სიტყვით მიმართეს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა. მომიტინგეებმა ისაუბრეს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიაზე. წაიკითხეს გაეროსა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მთავრობებისადმი გასაგზავნი დეკლარაციის ტექსტი საქართველოს საერთაშორისო უფლებების აღდგენის მოთხოვნით, რასაც 10000-ზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი. ამ მანიფესტაციის შემდეგ მოძრაობის ლიდერები რამდენიმე დღით დააკავეს.

„ეს მიტინგი და აქცია იყო უკანასკნელი დიდი ღონისძიება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელიც უსისხლოდ დამთავრდა. ვერ ვიტყვი ზუსტად, რა ნიშნებით, მაგრამ იმ დღეს ჰაერში უკვე იგრძნობოდა, რომ ხელისუფლების კურსი შეცვლილია ან რადიკალურად იცვლება დეპრესიისკენ. მიზეზი 25 თებერვლის აქცია-რეფერენდუმი იყო, რომელმაც ნათლად გამოაჩინა, რომ ქართველ ხალხს სსრკ-ში ყოფნა არ სურს“ (ნოდარ ნათაძე)

მაღე მიტინგებისა და დემონსტრაციების ტალღა მთელ ქვეყანას მოედო. 1989 წლის 9 აპრილის მშვიდობიანი აქციის სისხლიანმა დარბევამ პროცესები შეუქცევადი გახადა.

1990 წლის 25 თებერვალს „კომუნისტში“ გასაბჭოების დღის ტრადიციული მილოცვა აღარ დაბეჭდილა. საქართველოს გასაბჭოების დაგმობა მთელი საბჭოური ნარატივის უარყოფასაც ნიშნავდა.

საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ 1990 წლის გაზაფხულზე აიძულა კომუნისტური ხელისუფლება მიეღო რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. კერძოდ, 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში საქართველოს სსრ-ის უზენაესმა საბჭომ ჩაწერა, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება წარმოადგენდა ინტერვენციას და ოკუპაციას არსებული წყობის დამხობის მიზნით, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით - ანექსიას.

1990 წლის 28 ოქტომბერს არჩევნებში გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიას პარტიამ, „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“. არჩეული უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი, რომელშიც ჩაიწერა, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით აღდგენილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის გზით წაართვა.

### February 25, 1989 Protest March

On February 25, 1921, the government of the First Democratic Republic left Tbilisi, and units of the Soviet Russian Red Army entered the city. For years, the government of Soviet Georgia was “celebrating” this day as the day of the Sovietisation of Georgia.

On February 25, 1989, a large funeral rally was held in Tbilisi. Leaders of the national movement addressed those gathered at the university. The protesters mentioned the annexation of Georgia by Bolshevik Russia. They read the text of the declaration to be sent to the governments of the UN and the leading countries of the world demanding the restoration of Georgia's international rights, which was signed by more than 10000 people. The leaders of the movement were detained for several days after this manifesto.

“This rally and protest was the last major event of the National Liberation Movement that ended without bloodshed. I cannot exactly say to what extent but we already felt that day that the course of government had changed or was radically moving towards depression. The reason was the February 25 rally referendum, which made it clear that the Georgian people do not want to be part of the USSR” (Nodar Natadze).

A wave of rallies and demonstrations swept across the country soon. The bloody dispersal of the peaceful demonstration on April 9, 1989, made the processes irreversible.

On February 25, 1990, the traditional congratulations on the Soviet Occupation Day were not published. The condemnation of the Soviet Union also meant the rejection of the entire Soviet narrative.

In the spring of 1990, the Georgian National Movement forced the communist government to make several important decisions. In particular, in the resolution of March 9, 1990, the Supreme Soviet of the Georgian SSR stated that the arrival of Soviet Russian troops in Georgia in February 1921 and the occupation of the entire territory was an intervention and occupation in order to overthrow the existing group, and from a political point of view, it was an annexation.

On October 28, 1990, Zviad Gamsakhurdia's party “Round Table - Free Georgia” won the elections. At its first session, the elected Supreme Council of the Republic of Georgia unanimously adopted a law stating that the state independence of the Democratic Republic of Georgia restored on May 26, 1918, was seized by Soviet Russia seized through occupation and de facto annexation in February-March 1921.



ფოტო: ჯემალ კასრაძე

2022

მარტი

ორშ	სამშ	მომ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

### 1991 წლის 31 მარტი. რეფერენდუმი

1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკაში ჩატარდა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი. მოსახლეობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის „დამოუკიდებლობის აქტის“ საფუძველზე. როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მაშინდელი მოადგილე ნემო ბურჭულაძე იხსენებს, დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმის ჩატარება დააჩქარა საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჩატარებულმა რეფერენდუმმა, რომლის შევითხვა ასეთი სახით იყო ჩამოყალიბებული: გსურთ თუ არა საბჭოთა კავშირის შენარჩუნება?

ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიამ დაადგინა:

საქართველოს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 3 მლნ 672 ათას 403;

სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვის 99,08%-მა;

ავთხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი იყო 347.175. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 61,27%-მა, კენჭისყრაში – 61,23%-მა. სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარი დაუჭირა კენჭისყრის მონაწილეთა 97,73%-მა.

ცხინვალში, ყორნისისა და ჯავის რაიონებში რეფერენდუმი არ ჩატარებულა, მაგრამ საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რიცხვში გათვალისწინებულ იქნა ამ რეგიონის ამომრჩეველთა რაოდენობა. ცხინვალის რაიონში რეფერენდუმი ჩატარდა შვიდ სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე, სადაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 11376 იყო. გაიცა 10182 ბიულეტენი, რომელთაგან ორი ბათილად იქნა ცნობილი. სარეფერენდუმო კითხვას დადებითი პასუხი გასცა 10180-მა ამომრჩეველმა.

სოციოლოგი ემზარ ჯგერენაია აღნიშნავს: 1991 წლის 31 მარტს, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, ქართველი ხალხი, როგორც გარკვეული კულტურისა და პოლიტიკის დამოუკიდებელი გამტარებელი ერთობა, პირველად გამოვიდა მსოფლიოს წინაშე:

„ამიტომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ფუძემდებლური მოვლენა ჩვენი ქვეყნისთვის. ეს დღე ქართველი ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში, კულტურულ მეხსიერებაში მუდმივად უნდა ფიგურირებდეს როგორც ერთგვარი ამოსავალი, დაბადების ტოლფასი მოვლენა. ცხადია, ქართველი ერი არის უძველესი, მაგრამ ეს დღე არის პოლიტიკური ერის დაბადების დღე“.

### March 31, 1991. Referendum

On March 31, 1991, a general referendum was held in the Republic of Georgia. The population unanimously supported the restoration of Georgia's state independence on the basis of the “Independence Act” of May 26, 1918. As Nemo Burchuladze, the then Deputy Chairman of the Supreme Council of the Republic of Georgia, recalls, the referendum on the restoration of independence was hastened by a referendum held throughout the Soviet Union, the question of which was: “Would you like to preserve the Soviet Union?”

The Central Referendum Commission determined:

The total number of voters in the Republic of Georgia estimated 3 672 403 people;

99.08% of voters supported the positive resolution of the issue in the referendum;

The total number of voters in the Autonomous Republic of Abkhazia was 347,175. 61.27% took part in the referendum, 61.23% - in the voting. 97.73% of the voters supported the positive resolution of the issue in the referendum

No referendum was held in Tskhinvali, Kornisi, and Java districts, but the number of voters in this region was considered on the total number of the voters in Georgia. The referendum in the Tskhinvali Region was held on the territory of seven village councils, where the total number of voters was 11,376 people. 10,182 ballots were issued, two of which were annulled. 10,180 voters answered positively to the questions of the referendum.

Sociologist Emzar Jgerenaia notes: on March 31, 1991, after the collapse of the Soviet Union, the Georgian people, as an independent implementing unity of a certain culture and politics, first appeared internationally:


“Therefore, it can be said without exaggeration that it was a fundamental occasion for our country. This day should always appear in the collective memory of the Georgian people, it should serve as a kind of starting point, a phenomenon equal to birth, in the cultural memory. Obviously, the Georgian nation is ancient, but this is the birthday of a political nation.”



2022

აპრილი

ორშ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	



საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

## 1991 წლის 9 აპრილი დამოუკიდებლობის გამოცხადება

1991 წლის 9 აპრილს, 12 საათსა და 30 წუთზე უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომამ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრებმა. ამ თარიღს სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. ასე იქცა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული დღე საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ.

1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომის დაწყების წინ, შეკრებილბმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას. საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ზვიად გამსახურდიამ დეკლარაციას მიმართა: „პატივცემულო დეკლარაციებო! პატივცემულო სტუმრებო! პატივცემულო საზოგადოება! დღეს ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ ჩვენი ერის, ჩვენი რესპუბლიკის მომავალ ბედზე, მის იურიდიულ სამართლებრივ სტატუსზე ... ყოველივე ზემოთ თქმულიდან მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რეფერენდუმზე გამოხატული ხალხის ნების გათვალისწინებით, მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა წინაშე გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რათა საქართველომ დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში...“

ერთხმად მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი აცხადებდა: „1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული, საქართველოს უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, ადგენს და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება“.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს ხელი მოაწერეს საქართველოს კომპარტიის დეკლარაციებმა, რომლებიც 250-ადგილიან უზენაეს საბჭოში 64 მანდატს ფლობდნენ.

„გვიან ღამით დავბრუნდი უზენაეს საბჭოში. შენობაში თითქმის არავინ იყო, დაცვა და რამდენიმე თანამშრომელი. ფანჯრიდან გადმოვხედე რუსთაველს. სახსე იყო. არც თავი ჩანდა და არც ბოლო – მთელი საქართველო ქუჩაში იდგა. ნამდვილი სახალხო ზეიმი იყო, რომელსაც არ ჰყავდა ორგანიზატორი (ნემო ბურჭულაძე).

## April 9, 1991 Declaration of Independence

At 12:30 on April 9, 1991, the Extraordinary Session of the Supreme Council adopted the Act on the Restoration of State Independence of Georgia, which was signed by the members of the Supreme Council and the Government of the Republic of Georgia. This date had a symbolic meaning. This is how the tragic day of April 9, 1989, became the Independence Day of Georgia.

On April 9, 1991, before the start of the extraordinary meeting of the first session of the Supreme Council of Georgia, the audience observed a minute of silence in memory of those who died on April 9, 1989. The Chairman of the Supreme Council of Georgia, Zviad Gamsakhurdia addressed the MPs:

"Dear MPs! Dear guests! Dear society! Today we must discuss the future fate of our nation, of our Republic, its legal status ... Based on all the above, we consider it advisable for the Supreme Council of the Republic of Georgia, taking into account the will of the people expressed in the referendum, to declare the restoration of Georgia's independence on the basis of May 26, 1918 Independence Act, in order to allow Georgia to take its rightful place in the community of sovereign states of the world ..."

The unanimously adopted Act on the Restoration of Independence of Georgia stated:

"Multiparty, democratically elected on October 28, 1990, the Supreme Council of Georgia, relies on the unanimous will of the Georgian people, expressed in a referendum on March 31, 1991, establishes and announces the restoration of the state independence of Georgia on the basis of the May 26, 1918 Independence Act. The territory of the Sovereign Republic of Georgia is united and indivisible. Only the Constitution and the Government of the Republic of Georgia are supreme on its territory."

The Act on the Restoration of the State Independence of Georgia was also signed by those MPs of the Georgian Communist Party, who held 64 seats in the 250-seat Supreme Council.

"I returned to the Supreme Council late last night. There was almost no one in the building, only the guards and a few employees. I looked out of the window at Rustaveli. It was full. The whole of Georgia was outside in the streets. It was a real public celebration that had no organizer." (Nemo Burchuladze).





ფოტო: ჯემალ კასრაძე

2022

მაისი

ორშ	სამშ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

## 1991 წლის 26 მაისი პირველი საპრეზიდენტო არჩევნები

1988 წლის 26 მაისს გაიმართა პირველი საპროტესტო დემონსტრაცია. ასე იწყება დამოუკიდებლობის დღის ქართული საზოგადოების ცნობიერებაში დაბრუნება. ბევრად უფრო მასშტაბურად აღინიშნა ეს დღე მომდევნო, 1989 წლის 26 მაისს. უნივერსიტეტის წინ დაწყებული მიტინგი დიდხანს არ გაგრძელებულა. მომიტინგეთა ნაწილი დაიძრა ვაკის პარკისკენ, შემდეგ ვაკის პარკიდან რუსთაველის გამზირის გავლით გაემართა სიონისკენ.

1990 წლის 22 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გააუქმა ყველა საბჭოთა დღესასწაული და შემოიღო ახალი უქმე დღეები (გიორგობა, მარიამობა, აღდგომა და ა.შ.), რომელთა შორის იყო ასევე 26 მაისი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.

1991 წლის 26 მაისს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. ეს იყო პირველი, დემოკრატიული საპრეზიდენტო არჩევნები. (რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა შემოღებულ იქნა 1991 წლის 14 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ ზვიად გამსახურდიას მოთხოვნით). ამ არჩევნებში ზვიად გამსახურდიას აქტიური ამომრჩევლის – 87.03 პროცენტმა დაუჭირა მხარი.

მიუხედავად არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვებისა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიმართ უკმაყოფილება დღითი დღე იზრდებოდა, 1991 წლის შემოდგომაზე პროტესტი მასობრივ დემონსტრაციებში გადაიზარდა და წლის მიწურულს, 22 დეკემბერს შეიარაღებული გადატრიალება დაიწყო. 1992 წლის 6 იანვარს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აზერბაიჯან-სომხეთის გავლით ჩეჩნეთში გაიხიზნა. თბილისში შექმნილმა სამხედრო საბჭომ მოსკოვიდან ჩამოიყვანა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ახალ ორგანოს, სახელმწიფო საბჭოს ჩაუდგა სათავეში.

## 26 May, 1991 First Presidential Elections

On May 26, 1988, the first protest march was held. This is how Independence Day begins to return to the consciousness of Georgian society. This day was celebrated on a much larger scale the following year, on May 26, 1989. The rally that started in front of the university did not last long. Some of the protesters moved to Vake Park, then from Vake Park along Rustaveli Avenue to Sioni.

By a decree of November 22, 1990, the Supreme Council of the Republic of Georgia abolished all Soviet holidays and introduced new ones (St. George's Day, St. Mary's Day, Easter, etc.), including May 26 - the Day of Restoration of State Independence of Georgia.

On May 26, 1991, presidential elections were held in Georgia. It was the first democratic presidential election (the post of the President of the Republic was introduced on April 14, 1991, at the request of Zviad Gamsakhurdia, by the Supreme Council of the Republic of Georgia). Zviad Gamsakhurdia was supported by 87.03% of active voters in this election.

Despite the convincing victory in the elections, dissatisfaction with the first president of Georgia was growing day by day. In the autumn of 1991, the protests escalated into mass demonstrations, and at the end of the year, on December 22, an armed coup began. On January 6, 1992, President Zviad Gamsakhurdia escaped to Chechnya via Azerbaijan-Armenia. The military council formed in Tbilisi brought Eduard Shevardnadze from Moscow, who became a Head of a new body, the State Council.

2022

ივნისი

ორშ	სამშ	მთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30			



ფოტო: შახ აივაზოვი

## 1992 წლის 24 ივნისი დაგომისის (სოჰის) შეთანხმება

1992 წლის ივნისში ცხინვალის რეგიონი ცხელ წერტილად რჩებოდა. 15 ივნისს რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, რუსლან ხასბულატოვმა თავის მიმართვაში ეს კონფლიქტი სამხრეთელ ოსთა გენოციდად და ისტორიული სამშობლოდან მასობრივ გაძევებად მონათლა. 17 ივნისს ე. შევარდნაძემ ამ განცხადების საპასუხოდ გაავრცელა თავისი მიმართვა, რომელშიც ბრალი დასდო რუს დეპუტატს სიმართლის დამახინჯებაში:

„არაფერი თქმულა რუსეთის ტერიტორიიდან კონფლიქტის ზონაში შემოტანილ საბრძოლო ტექნიკაზე და მოხალისეებზე, რომლებიც „რუსეთის სამხრეთ საზღვრებს იცავენ ცხინვალში“, კრინტიც არ დაუძრავთ ასობით მოკლულ, დასახიჩრებულ, დამწვარ ქართველზე, ათობით ნაცარტუტად ქცეულ სოფელზე, ათასობით ქართველ ლტოლვილზე, რომლებიც ისევ, როგორც ოსები, გადახვეწილნი არიან ...“.

18 ივნისს მდგომარეობა უფრო დაიძაბა. 16 საათზე ცხინვალის რაიონში სამი საბრძოლო ვერტმფრენი რუსეთის სამხედრო ძალების საცნობი ნიშნებით თავს დაესხა საქართველოს ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფებს. მათ ჰოზიციებს რაკეტები დაუშინეს და შემდეგ მცირე სიმაღლიდან შეუტყეს ქართულ სოფლებს ტყვიამფრქვევის ცეცხლით. ცხინვალის მხრიდან დაიწყო შეიარაღებულ ფორმირებათა შემოტევა ტანკებით და ჯავშანტრანსპორტიორებით. კონფლიქტი ახალ მასშტაბს იძენდა. მასში უკვე უშუალოდ იყო ჩართული რუსული შეიარაღებული ძალები. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ასევე მიმართავდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს, თანამშრომლობის ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს, ევროპის გაერთიანებებს და სხვა საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებს, არ დაეშვათ აგრესია საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ. 21 ივნისს ე. შევარდნაძე კვლავ ღია წერილს აქვეყნებს. ამჯერად ადრესატი რუსეთის ვიცე-პრეზიდენტი, ალექსანდრე რუცკოია. წერილში ის რუსეთის ვიცე-პრეზიდენტს კონფლიქტის ესკალაციის მცდელობაში ადანაშაულებს.

1992 წლის ივნისში დაგომისში შედგა შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, ედუარდ შევარდნაძესა და რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს შორის. შეხვედრა ეხებოდა შიდა ქართლში (ე.წ. სამხრეთ ოსეთში) განვითარებულ მოვლენებს. დაგომისის შეხვედრაზე, ელცინმა და შევარდნაძემ მიიღეს კომუნიკე „საქართველო-ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგების პრინციპების შესახებ“.

მიუხედავად ამ შეთანხმებისა, რუსეთის მხრიდან პროვოკაციული ქმედებები არ შეწყვეტილა. მაგ. 13 ივლისს ცეცხლი დაუშინეს თამარაშენს, დაიღუპა 1 გვარდიელი, დაიჭრა – 6. გრძელდებოდა საქონლისა და ადამიანების გატაცებები.

## 24 June, 1992 the Sochi (Dagomys) Agreement

In June 1992, the Tskhinvali Region remained a hot spot. On June 15, the Chairman of the Supreme Council of Russia, Ruslan Khasbulatov, called the conflict a genocide of South Ossetians and a mass expulsion from their historic homeland. On June 17, E. Shevardnadze issued a statement in response to the Russian MP, accusing him of distorting the truth:

“Nothing was said about the military equipment and volunteers brought from the Russian territory to the conflict zone, “guarding Russia’s southern borders in Tskhinvali,” nothing was mentioned about the hundreds of killed, harmed, burned Georgians, the dozens of villages turned into ruins, the thousands of Georgian refugees who, like the Ossetians, are resettled...”


On June 18, the situation escalated. At 16:00, three combat helicopters with Russian military insignia attacked units of the Georgian National Guard of the Tskhinvali District. They fired rockets at positions and then attacked Georgian villages with machine-gun fire from a low altitude. Armed formations launched an offensive using tanks and armored personnel carriers from Tskhinvali. The conflict was taking on a new scale. The Russian Armed Forces were already directly involved in it. The Chairman of the State Council also appealed to the United Nations, the European Security and Cooperation Council, the North Atlantic Council, the European Union, and other international and regional organisations to refrain from aggression against the Republic of Georgia. On June 21, E. Shevardnadze publishes an open letter again. This time the addressee is the Vice President of Russia, Alexander Rutskoy. In the letter, he accuses the Vice President of Russia of trying to escalate the conflict.

In June 1992, a meeting between the Chairman of the State Council of the Republic of Georgia, Eduard Shevardnadze, and the President of Russia, Boris Yeltsin was held in Dagomisi. The meeting focused on the developments in Shida Kartli (so-called South Ossetia). At the Dagomisi meeting, Yeltsin and Shevardnadze adopted a communiqué on “Principles for settling the Georgian-Ossetian conflict.”

Despite this agreement, provocative actions by Russia did not cease. For instance, on July 13, Tamarasheni was bombed, 1 guard was killed, and 6 were wounded. Livestock and people were kidnapped.



# 2022



ფოტო: სერგეი გუნევი. РИА Новости

## ივლისი

ორშ	სამშ	მომ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

### 1992 წლის 10 ივლისი. ჰელსინკის კონფერენცია

1992 წლის 8 ივლისს საქართველოს დელეგაციამ, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე მეთაურობდა, მონაწილეობა მიიღო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბოლოო აქტის ხელმოწერის ცერემონიაში.

საზეიმო შეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა ედუარდ შევარდნაძემ: „საქართველო დიდხანს ელოდა ამ დღეს. მისთვის აქ ყოფნა ბევრს ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა კი, ევროპის სულიერ სამყაროში დაბრუნებას“.

10 ივლისს ჰელსინკის უმაღლესი დონის შეხვედრის მონაწილე სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა მიიღეს დეკლარაცია, „ცვლილებათა ხანის იმედები და პრობლემები“.

ამ დეკლარაციაში აისახა ცივი ომისა და ტოტალიტარული რეჟიმის დასასრული, ახალი სუვერენული სახელმწიფოების გაჩენა. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა და ტოტალიტარული საზოგადოებისგან დარჩენილი პრობლემებისა, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმა დემოკრატიული პრინციპების დანერგვისა და გადრეკვისკენ მიმართული ქმედებები. საქართველომ აიღო ვალდებულება, დაეცვა დემოკრატიული და პლურალისტური საზოგადოების ღირებულებები, რაც გულისხმობდა უმცირესობის უფლებების დაცვას, რელიგიურ შემწყნარებლობას და სხვა.

